არაბისტიკა (Arabic Studies)

MA

სავალდებულო კურსები

(Compulsorily courses)

1. *ისლამური ქალაქი და საქალაქო ცხოვრება*
   The Islamic City and City Life

კურსი შეისწავლის ისლამური ქალაქის განვითარების თავისებურებებს. ძირითადი ყურადღება გამახვილდება მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, სოციალურ სტრუქტურასა და საქალაქო ინსტიტუტებზე. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა ამ ქალაქების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობათა განხილვას.

2. *არაბული ისტორიული წყაროები და მათი ენა*
   Arab Historical Sources and their language

კურსი ფარგლებში მოხდება არაბული ისტორიული წყაროების იმ ვრცელი მონაკვეთების განხილვა-შესწავლა, რომლებიც დაცულია გ. წერეთლის არაბულ ქრესტომათიაში და შეიცავენ ცნობებს ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს შესახებ. ყურადღება გამახვილდება ამ წყაროების მნიშვნელობაზე საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების მეცნიერული შესწავლისათვის.

3. *შარიათი*
   Shariat

კურსი შეისწავლის ისლამური კანონმდებლობის (შარიათის) თეორიასა და პრაქტიკას. განხილული იქნება ისლამური სამართლის განვითარება ისტორიულ კონტექსტში, მისი ძირითად დარგები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება შარიათის როლზე თანამედროვე მუსლიმურ სამყაროში; ისლამური სამართლის ცნებებისა და ტერმინების განხილვის დროს გაანალიზებული იქნება ქართული მასალაც.

4. *ნავთობი, წყალი და პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში /რეგიონალური და გლობალური კონტექსტი/*
   Oil, Water and Politic in the Near East (Regional and Global Context)

კურსი ითვალისწინებს განიხილოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ნავთობი, როგორც მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ყურადღება გამახვილდება სტატისტიკურ მონაცემებზე ახლო აღმოსავლეთში ნავთობის მარაგის, მოპოვების, საექსპორტო შემოსავლების და თვითღირებულების შესახებ. ასევე განხილული იქნება წყლის რესურსები, როგორც ახლო აღმოსავლეთში მკვეთრი დაპირისპირების ობიექტი, კონფლიქტების დაფარული ან აშკარა მიზეზი.

5. *არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა*
   The Language of Arabic Media and Political Texts

კურსი ითვალისწინებს არაბული ენის მორფოლოგია-სინტაქსის საბაზისო ცოდნისა და ლექსიკური მარაგის საფუძველზე პრესის და პოლიტიკური ხასიათის ტექსტების პროფესიული თარგმანის შესასრულებლად საჭირო ცოდნის დაუფლებას.

6. *არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული ლიტერატურა და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები)*
   Theoretical grammar of Arabic Language – Morphology, Syntax (Arabic Linguistic literature of the Middle Ages and contemporary linguistic conceptions)

კურსი გაუღრმავებს მაგისტრანტებს ცოდნას არაბული ფონეტიკისა და ფონოლოგიის (ტრადიციული და თანამედროვე შეხედულებები) დარგში; მორფოლოგიის სფეროში განიხილება გვარის, თემის, ასპექტის კატეგორიების ცალკეული საკითხები; მაგისტრანტები გაეცნობიან თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ აღიარებული კვლევის მეთოდების ჩანასახოვან ფორმებს ტრადიციულ არაბულ ენათმეცნიერებაში.

7. *ქრისტიანული არაბული ლიტერატურა*
   Christian Arabic Literature

მოცემული კურსი მაგისტრანტს შესძენს საბაზისო ცოდნას ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება საბას ლავრასა (პალესტინაში) და წმ. ეკატერინეს მონასტერში (სინას მთაზე) შექმნილ ქრისტიანულ არაბულ მწერლობაზე, რომელიც მოიცავს სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგს. ამ ლიტერატურის შესწავლა ქართველი მკვლევრისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან VIII-X საუკუნეებში ქართველებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ არაბულენოვან ქრისტიანებთან.

8. *რელიგია და პოლიტიკა თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში-*
   Religion and Politic in the Modern Middle East

კურსი შეისწავლის რელიგიური ფაქტორის როლს თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს; განხილული იქნება ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: მსოფლიო რელიგიები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; ქრისტიანების სტატუსი რეგიონში, ისლამური ფაქტორი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში.

9. *ყურანი*
   Quran

კურსი გულისხმობს ყურანის, როგორც ლიტერატურული ძეგლის, შესწავლას, ასევე, როგორც საღვთო წიგნისა და ისლამური იდეოლოგიის საფუძვლის, გაცნობას. კურსის მანძილზე შესრულდება ყურანის ანალიზი ენობრივ, მხატვრულ, ისტორიულ-პოლიტიკურ, თეოლოგიურ, სამართლებრივ დონეებზე. დისციპლინა ემყარება, პირველ ყოვლისა, ყურანის არაბულ ტექსტს, როგორც ძირითად წყაროს, ასევე - შუა საუკუნეების არაბ კომენტატორებს და სამეცნიერო ლიტერატურას არაბულ და ევროპულ ენებზე.

10. არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი
Arabic Dialectology and the Egyptian dialect

კურსი იძლევა ბაზისურ თეორიულ ცოდნას არაბულ დიალექტოლოგიაში სალიტერატურო არაბულთან და სხვა სემიტურ ენებთან პარალელების ფონზე. ასევე თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას არაბული ენის ეგვიპტურ დიალექტში ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ დონეზე.

11. კლასიკური არაბული ლიტერატურის ძეგლები
Classical Arabic Literary specimens

კურსი შეასწავლის მაგისტრანტებს V-XIII სს. არაბული პოეზიის მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, მათ მეტა-ენას _ მუდმივ ეპითეტებს, გაქვავებულ მეტაფორებს, სიმბოლო-ფორმულებს. ამასთანავე სტუდენტები გაეცნობიან შუა საუკუნეების არაბული პროზის ნიმუშებს („არაბთა დღეები (ბრძოლები)“ „ათას ერთი ღამე“, „ქილილა და დამანა“, „მაკამები“); გაანალიზებენ ამ ძეგლთა სტრუქტურისა და კომპოზიციის თავისებურებებს.

12. ებრაული ენა
Hebrew language

კურსი ითვალისწინებს მისცეს მაგისტრანტს ბაზისური ცოდნა ებრაული ენის სისტემაზე, კერძოდ, სტუდენტები შეისწავლიან ებრაულ ანბანს, გრამატიკის საფუძვლებს, სიტყვათწარმოებას, ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიებს, სინტაქსის ელემენტებს, სასტარტო ლექსიკას, გამოიმუშავებენ ებრაულად წერა-კითხვისა და ებრაულ ტექსტზე ლექსიკონის დახმარებით დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს.

არჩევითი კურსები
(Optional Courses)

1. *არაბული ესპანეთი (ისტორია და კულტურა)*
   Arabic Spain (History and Culture)

კურსი შეისწავლის ესპანეთის ისტორიის იმ მონაკვეთს, რომელიც მოიცავს არაბთა ბატონობისა და ისლამური ცივილიზაციის აყვავების პერიოდს (VIII-XV საუკუნეები). განხილული იქნება შუა საუკუნეების არაბულ-ისლამური ესპანეთის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხები.

2. *ბიზნეს-არაბული*
   Business Arabic

კურსი ითვალისწინებს არაბული ენის მორფოლოგია-სინტაქსის საბაზისო ცოდნისა და ლექსიკური მარაგის საფუძველზე ეკონომიკური ხასიათის და ბიზნეს-სექტორისთვის

სპეციფიკური ტექსტების პროფესიული თარგმანის შესასრულებლად საჭირო ცოდნის დაუფლებას.

3. *თანამედროვე არაბი ავტორი თარგმანსა და ორიგინალში (ეგვიპტური ნოველა. ორენოვანი საკითხავი კურსი)*
   Modern Arabic Author in the Translation and the Original (Egyptian Short Story.Bilingual Reading Course)

კურსის მთავარი მიზანია, სტუდენტს გადასცეს ორიგინალური, არაადაპტირებული არაბული მხატვრული ტექსტის კითხვისა და მისი ქართულად მხატვრული თარგმანის თავისებურებების ცოდნა და გამოუმუშავოს მას პრაქტიკული უნარები დედნისა და თარგმანის შედარების გზით. ამ მიზნით შერჩეულია ეგვიპტური ნოველის რამდენიმე ცნობილი ავტორის თითო ნოველა და მათი ქართული თარგმანები.

4. *სირიული ენა*
   Syrian language

კურსი ითვალისწინებს არამეული ენის ედესის დიალექტზე აღმოცენებული კლასიკური სირიულის დასავლური შტოს – იაკობიტურის დამწერლობისა და გრამატიკული სისტემის შესწავლას, საბაზისო საფუძვლის შექმნას. კურსის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტი შეძლებს ლექსიკონის დახმარებით საშუალო სირთულის სირიულ (იაკობიტურ) ტექსტში გარკვევას, დამუშავებასა და თარგმნას.

5. აქადური ენა
   Acadian Language

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აქადური ენის გრამატიკულ სისტემას (მორფოლოგია და სინტაქსი), შეიძენენ ლექსიკის გარკვეულ მარაგს. ენის სტრუქტურის ძირითადი საფუძვლების გაცნობის შემდეგ მაგისტრანტები შეძლებენ მარტივი აქადური ტექსტების კითხვას, მათ ტრანსლიტერირებას, თარგმნასა და გრამატიკულ ანალიზს.

6. *პარემიოლოგია და არაბული ფოლკლორი*
   Paremeology and Arabic Folklore

კურსი სტუდენტს აცნობს პარემიოლოგიის, როგორც ზოგადი ფოლკლორისტიკის განუყოფელი ნაწილის, როლსა და მნიშვნელობას თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. თეორიული საკითხების სწავლება მოხდება არაბულენოვან მასალაზე დაყრდნობით, რაც სტუდენტს შესძენს არაბული (კერძოდ, სირიულდიალექტოვანი) პარემიული ფონდის მნიშვნელოვან მარაგს. ამავდროულად, მოცემულ კურსში სასწავლო მასალად შეტანილია ქართული ანდაზებიც.

7. *არაბული ლექსწყობა*
   Arabic Versification

კურსი მაგისტრანტებს სისტემურ ცოდნას აწვდის შემდეგ ძირითად თემებზე:
ა) კლასიკური არაბული ლექსთწყობის (არუდის) არაბული თეორია. ბ) არაბული ლექსთწყობის სისტემის ანალიზი თანამედროვე ლექსმცოდნეობის მეტაენაზე. გ)

თანამედროვე არაბული ვერსიფიკაციის ფორმების განხილვა. გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა, კურსის პროცესში წამყვან მასალად გამოყენებულია შუა საუკუნეების არაბული ფილოლოგიური ტრაქტატი (ალ-ხატიბ ათ-თიბრიზისა), რომლის ვრცელ ფრაგმენტებსაც მაგისტრანტები დედანში ეცნობიან.

8. *სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკა*
   Comparative Grammar of the Semitic languages

კურსი მაგისტრანტებს ვრცელ ინფორმაციას აწვდის სემიტურ და ინდოევროპულ ენათა, აგრეთვე ნოსტრატული თეორიისა და ებლას ენის შესახებ. კურსის სწავლება მიმდინარეობს რ. შტემპელის მიერ ბონის უნივერსიტეტში 1998 წელს გამოცემული ნაშრომის "სემიტურ ენათა ისტორიული გრამატიკის" მიხედვით, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკისა და აღმოსავლეთმცოდნეობის უკანასკნელ მონაპოვრებს.